მცირე სახელმწიფო გერბიანი ბლანკების
ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის
საქმისწარმოებაში გამოყენების წესისა და კომისიის შექმნის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, *საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 ნოემბრის N413 დადგენილების, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 31 დეკემბრის N132 დადგენილებით დამტკიცებული ,,სახელმწიფო გერბიანი ბლანკების, ბეჭდებისა და სხვა საშუალებების დამზადების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების წესის",* თსსუ-ის წესდების მე-14 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. თსსუ-ის კანცელარიამ უზრუნველყოს სახელმწიფო გერბიანი ბლანკების სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ფორმაში აღრიცხვა და შენახვა.

2. სახელმწიფო გერბიანი ბლანკების გამოყენებისა და შენახვის კონტროლი დაეკისროს თსსუ-ის კანცელარიის უფროსს (ნ.ჩიხრაძე).

3. სახელმწიფო გერბიანი ბლანკების კანცელარიიდან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებზე გაცემა დასტურდება უფლებამოსილი პირის ხელმოწერით.

4. გამოსაყენებლად უვარგისი სახელმწიფო გერბიანი ბლანკების განადგურება განხორციელდეს სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ფორმაში აღნიშვნით.

5. წელიწადში ერთხელ სახელმწიფო გერბიანი ბლანკების არსებობის, გამოყენებისა და შენახვის შემოწმება განახორციელოს კომისიამ.

6. სახელმწიფო გერბიანი ბლანკების არსებობის, გამოყენებისა და შენახვის შემოწმების მიზნით, შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე ნ.რუხაძე - რექტორის აპარატის უფროსი;
ბ) გიორგი ბაქრაძე - ფინანსური რესურსების მართვისა და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსი;
გ) მიხეილ რობაქიძე - ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის უფროსი;
დ) მზია დუნდუა - იურიდიული სამსახურის უფროსი;
ე) ნინო ჩიხრაძე - კანცელარიის უფროსი;

7. ბრძანების მე-7 პუნქტით განსაზღვრული კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს კანონდებლობით დადგენილი წესით.